საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 218/ს
23/05/2023

218-21-4-202305232058

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოჭბაანში შპს „ინფრა ინვესტის“ 2 სარეკრეაციო დანიშნულების ტბორის (ჯამურად 24 840 მ^3) მოწყობისა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ინფრა ინვესტის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოჭბაანში შპს „ინფრა ინვესტის“ 2 სარეკრეაციო დანიშნულების ტბორის (ჯამურად 24 840 მ^3) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოჭბაანში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 101 167 მ^2 ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.17.54.000.205). საპროექტო ტბორების განთავსების GPS კოორდინატებია: X-511237.481, Y-4633630.629; X-511241.85, Y-4633655.181; X-511250.873, Y-4633678.426; X-511253.683, Y-4633703.204; X-511252.061, Y-4633728.126; X-511246.427, Y-4633752.453; X-511237.593, Y-4633775.824; X-511226.037, Y-4633797.979; X-511213.842, Y-4633819.803; X-511201.648, Y-4633841.627; X-511189.528, Y-4633863.492; X-511178.872, Y-4633886.099; X-511170.133, Y-4633909.514; X-511161.008, Y-4633932.79; X-511151.883, Y-4633956.065; X-511143.706, Y-4633979.683; X-511134.538, Y-4634002.938; X-511124.079, Y-4634025.641; X-511111.139, Y-4634046.913; X-511090.129, Y-4634059.86; X-511067.265, Y-4634069.873. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთით ემიჯნება კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ხოლო დასავლეთით - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყე. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრის ჩრდილოეთით, დაახლოებით 380 მეტრში, განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებული 3 ხელოვნური ტბორი. უახლოესი საცხოვრებელი სახლი, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, დაშორებულია დაახლოებით 180 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. იორი - 200 მეტრით. საპროექტო ტერიტორიიდან 257 მეტრში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის

უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე სოფ. ოთარაანის „ღვთისმშობლის სამეკლესიანი ბაზილიკა“.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია სარეკრეაციო დანიშნულების ორი ტბორის მოწყობა, საიდანაც პირველი ტბორის მოცულობა იქნება 13 590 მ^3, ხოლო მეორეს მოცულობა - 11 250 მ^3. სარეკრეაციო ტბორების სარკის ზედაპირის ჯამური ფართობი შეადგენს 13 800 მ^2-ს (ტბორი №1 - 7 550 მ^2; ტბორი №2 - 6 250 მ^2), ხოლო საშუალო სიღრმე - 1.80 მ-ს. ტბორები ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება გრუნტის დამბით (სიმაღლე: 2 მ, სიგანე: 4 მ) და ერთმანეთს დაუკავშირდება ლითონის მილსადენით (400 მმ), რომელიც უზრუნველყოფს ტბორებში არსებული წყლის რეგულირებას. სარეკრეაციო ტბორების გარშემო მოეწყობა სადრენაჟე არხები, რომელთა საშუალებით შეკრებილი ზედაპირული წყლები ჩაშვებული იქნება დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაწყობ წყალგამყვან არხში (GPS კოორდინატები: X-511231.91; Y-4633622.08). ტბორებიდან წყლის გაჟონვის პრევენციის მიზნით, მათ ძირზე განთავსდება თიხის ეკრანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სარეკრეაციო ტბორების წყალმომარაგება მოხდება მდ. ივრიდან. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ტბორების შესავსებად გათვალისწინებულ წყალაღების წერტილთან მოეწყობა მონოლითური ბეტონის სათავე ნაგებობა (GPS კოორდინატები: X-510713,433; Y-4634318,086), საიდანაც, აღებული წყალი, 430 მ სიგრძის, 60 სმ სიგანისა და 50 სმ სიღრმის მქონე ღია არხის მეშვეობით, თვითდინებით დაგროვდება პირველ ტბორში. სათავე ნაგებობა წარმოდგენილი იქნება მონოლითური ბეტონის კედლის სახით და შედგება სარეგულაციო (ГС 50-220) და გამრეცხი (ПС 100-100-240) ფარებისგან, ასევე დაბალზღურბლიანი წყალსაგდებისგან. გამრეცხი ფარის საშუალებით მოხდება მდ. ივრის ზედა ბიეფში დაგროვებული ნატანის პერიოდული ჩარეცხვა ქვედა ბიეფში, სარეგულაციო ფარით დარეგულირდება საჭირო რაოდენობის წყლის ხარჯი, ხოლო დაბალზღურბლიანი წყალსაგდები უზრუნველყოფს ზედმეტი წყლის გატარებას მდ. ივრის ქვედა ბიეფში. სათავე ნაგებობის დატბორვისა და მდ. ივრის ნაპირის ჩამოშლის თავიდან აცილების მიზნით, სათავე ნაგებობების წინ და უკან მდინარის ნაპირები გამაგრდება დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობით, კერძოდ, გაბიონის ყუთებით (200 სმ X 100 სმ X 100 სმ). პირველ ტბორში დაგროვილი წყალი 400 მმ დიამეტრის მქონე ლითონის მილსადენით დაუკავშირდება მეორე ტბორს, საიდანაც გამოსული წყალი, 400 მ სიგრძის, 60 სმ სიგანის და 50 სმ სიღრმის მქონე ღია არხის მეშვეობით, კვლავ ჩაშვებული იქნება მდ. იორში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X: 511236.803, Y:4633630.207. სარეკრეაციო ტბორების წყალმომარაგება განხორციელდება მდ. ივრიდან 0,025 მ^3/წმ. ტბორების ერთჯერადად დაახლოებით 10- 12 დღე. სკრინინგის განცხადების თანახმად, მდ. იორში მინიმალური ხარჯის დროს (4.90 მ^3/წმ) დატოვებული წყლის ხარჯის მაჩვენებელი აღემატება მდინარეში დასატოვებელ სანიტარულ ხარჯს, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობით უარყოფითი ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე იქნება უმნიშვნელო.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სარეკრეაციო ტბორებისა და მათი დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოეწყობა სამობილიზაციო მოედნის (ფართობი: 2 400 მ^2; GPS კოორდინატები: X-511035.288, Y-4634220.697; X-511007.822, Y-4634191.561, X-511051.586, Y-4634150.452; X-511078.992, Y-4634179.588), სადაც განთავსდება „სენდვიჩპანელის“ ტიპის სამი საოფისე კონტეინერი (6.0 X 2.35 მ), წყლის შესაგროვებელი ავზი (5.0 მ^3) და გადასატანი ტუალეტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, საწყის ეტაპზე, 16 980 მ^2 ფართობზე მოიხსნება დაახლოებით 2 547 მ^3 მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერ ფენა, რის შემდგომაც დაიწყება სარეკრეაციო ტბორების ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის (წყალმიმღები, წყალგამყვანი და სადრენაჟე არხები, ასევე, სათავე და ნაპირსამაგრი ნაგებობები) მოწყობის სამუშაოები. თავდაპირველად, განხორციელდება წყალმიმღები და წყალგამყვანი არხების გაჭრა ექსკავატორის საშუალებით, ხოლო სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, მიუდგომელ ადგილებში, არხების გაყვანა მოხდება ხელით. აღნიშნულის შემდგომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება სადრენაჟე არხები. რაც შეეხება სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოებს, თავდაპირველად, ექსკავატორის მეშვეობით, განხორციელდება საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, რის შემოდგომაც სათავე ნაგებობის მოსაწყობად, ჩაისხმება მონოლითური ბეტონის კედელი. სათავე ნაგებობის განთავსების შემდგომ დაიწყება ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება, რომლის ფარგლებში ექსკავატორის საშუალებით მოხდება გრუნტის დამუშავება და შემდგომ მოეწყობა გაბიონის ყუთები (200 სმ X 100 სმ X 100 სმ), რომელთა შესავსებად გამოყენებული იქნება სტანდარტული ქვა. სამშენებლო მოედნის მდ. ივრისგან დაცვის მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განთავსდება დროებითი მიწაყრილი/დამბა. სარეკრეაციო ტბორების ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების შემდეგ, დაიწყება უშუალოდ ტბორების მოწყობის სამუშაოები, რისთვისაც პირველ ეტაპზე მოხდება ქვაბულისთვის საჭირო გრუნტის ექსკავაცია. აღნიშნულის შემდგომ განთავსდება ტბორების გამყოფი ხელოვნური გრუნტის დამბა, ტბორების ჰიდრავლიკური კავშირისათვის გათვალისწინებული წყლის მიმღები ჭები და ტბორების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ლითონის მილსადენი. გრუნტის სამუშაოების დასრულებისა და ტბორების ფსკერის საპროექტო მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ, მოეწყობა თიხის ეკრანი. თიხის ეკრანზე დაეფინება ქვიშა-ხრეშის 30 სმ-იანი ფენა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება: 5 ავტოთვითმცლელი; 2 ექსკავატორი; 2 ავტოამწე და თითო ავტოგრეიდერი, სატკეპნი გლუვვალციანი, ავტოგუდრონატორი, სარწყავ-სარეცხი მანქანა. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო მასალა საპროექტო ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება მზა სახით. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 1.5 თვის განმავლობაში და დასაქმდება 10-12 ადამიანი.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ივრის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაწყობი ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ივრის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარე ივრის სიგრძეა 320 კმ, წყალშემკრები აუზის ფართობი - 4650 კმ^2. საპროექტო კვეთში 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 785 მ^3/წმ-ს, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 5,30 მ-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სარეკრეაციო ტბორებისა და მათი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოიქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილ იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ტბორებისა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურისა/ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა. დაგეგმილი სამუშაოების ხანგრძლივობის (1.5 თვე), მასშტაბისა და უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (180 მ) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: გაკონტროლდება გამოყენებული სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა; შეიზღუდება სამშენებლო მასალების სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვის და გადმოტვირთვის სიმაღლეები; შეიზღუდება ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარეები; ხმაურიანი სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. სათავე და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, მდ. ივრის და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორიცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. სკრინინგის განცხადების თანახმად მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით დაწესდება შესაბამისი კონტროლი.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საკვლევ არეალში გაყვანილი იქნა 5-დან 10 მეტრამდე სიღრმის 8 ჭაბურღილი. გრუნტის წყალი გამოვლენილია უბანზე გაბურღულ ყველა ჭაბურღილში. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების (შურფები, ჭაბურღილები) საფუძველზე გამოვლინდა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია 3 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე): სგე 1 - ძლიერ ტენიანი, მუქი ყავისფერი, ხისტი, ქვიშიანი, მტვროვანი თიხა; სგე - 2 წყალგაჯერებული, მოყავისფერო-ნაცრისფერი საშუალო სიმკვრივის და მკვრივი, ძლიერ ხრეშიანი, ძლიერ ქვიშიანი, მტვროვანი, კენჭნარი, კაჭარის გარკვეული რაოდენობით შემცველობით; სგე 3 - წყალგაჯერებული, ღია ყავისფერი, მკვრივი და ძლიერ მკვრივი, სუსტად ქვიშიანი, მტვროვან-თიხიანი კენჭნაროვანი გრუნტი. საპროექტო ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით რაიმე ტიპის უარყოფითი გეოდინამიკური და გეოლოგიური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში გამოიყენებოდა საძოვრად. უშუალოდ საპროექტო ტბორების განთავსების ადგილი დაფარულია ბალახოვანი და ბუჩქოვანი მცენარეული საფარით. დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს 8 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მერქნული რესურსის გარემოდან ამოღება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სარეკრეაციო ტბორებისა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდგომ, განხორციელდება საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაცია და გამწვანების სამუშაოები. დოკუმენტის თანახმად, ანთროპოგენური დატვირთვის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია 2 547 მ^3 მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში ექსკავირებულ გრუნტს (18 500 მ^3), დროებით განთავსდება სამშენებლო მოედანზე და შემდგომში სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისა და საპროექტო ტერიტორიის მოსწორება-მოშანდაკებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის

ნაწილი (494 მ^2) მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში (საგარეჯოს სატყეო უბნის უჯარმის სატყეო). ამასთან, სახელმწიფო ტყეში მდებარე 494 მ^2 ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან (ს/კ: 55.17.54.002.607, 55.17.54.002.606, 55.17.54.002.609). სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2022 წლის 27 დეკემბრის №3534/ს ბრძანებით, №55.17.54.002.607 და №55.17.54.002.609 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გაცემულია ტყითსარგებლობის უფლება 49 წლის ვადით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან 257 მეტრში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე სოფ. ოთარაანის „ღვთისმშობლის სამეკლესიანი ბაზილიკა“ და საპროექტო ტერიტორია ექცევა აღნიშნული ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში, რის გამოც მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან 380 მეტრში განთავსებულია 3 ხელოვნური ტბორი. არსებული და საპროექტო ტბორების მოცულობის გათვალისწინებით, ადგილობრივ კლიმატზე მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მახასიათებლებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სარეკრეაციო დანიშნულების ტბორების მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.1, მე-9 პუნქტის 9.9 და 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოჭბაანში შპს „ინფრა ინვესტის“ 2 სარეკრეაციო დანიშნულების ტბორის

(ჯამურად 24 840 $მ^3$) მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ინფრა ინვესტი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ინფრა ინვესტსს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ინფრა ინვესტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო